ინდირა ამირანაშვილი

საოცარი ხეები

კლასი VI
კითხვის დონე – 6.1
ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ინდირა ამირანაშვილი

საოცარი ხეები

სასიკვდილო ანჩარი

ადაპტირებული ვერსია თომას მაინ რიდის მოთხრობისა „სათავგადასავლო ამბავი ბორნეოს გაუვალ ჯუნგლებში”

წყნარი ოკეანის სულავესის ზღვაში ძლიერ ქარიშხალს გემი შეეწირა. ცოცხალი გადარჩნენ მხოლოდ კაპიტანი რობერტ რედვუდი, მისი ორი შვილი, გემის დურგალი და მალაიზიელი ლოცმანი. მათ როგორღაც მიაღწიეს ბორნეოს კუნძულამდე. მალაიზიელმა მოინადირა ფრინველი, რომელიც მათ უზარმაზარი ხის ქვეშ შეწვეს. იმ ღამეს ყველა ისე ცუდად გახდა, ეგონათ, სიკვდილს ვერ გადაურჩებოდნენ. მოწამვლას ფრინველის ხორცს აბრალებდნენ. როდესაც მეორე დილით მზემ ამოანათა, მალაიზიელმა უცებ დაიწყო დასუსტებული ადამიანების გამოთრევა ხის ჩრდილიდან, თანაც ყვიროდა: „ანჩარი! ანჩარი!“

გემი უიმედოდ ებრძვის ტაიფუნს.

ნათელი გახდა მათი ავადმყოფობის მიზეზი. მეზღვაურებს გაგონილი ჰქონდათ საშინელი ამბები შხამიანი ხის შესახებ, რომელიც გარშემო ყოველივე ცოცხალს სპობს. კაპიტან რედვუდს ეგონა, რომ ანჩარის ამბები ხალხური ზღაპრები იყო. ახლა კი მიხვდა, რომ სიმართლე ყოფილა.

ხის ქვეშ დანთებული ცეცხლის ცხელი კვამლი მის ფოთლებში დატრიალდა. ფოთლებიდან გამოყოფილი შხამი კვამლს შეერია. კვამლი გაიფანტა, შხამი კი ჰაერში დარჩა. ხის ქვეშ წამოწოლილი ადამიანები რამდენიმე საათის განმავლობაში სუნთქავდნენ მოწამლულ ჰაერს.

მართალია, დაღუპული გემიდან გადარჩენილები თავს კვლავ სუსტად გრძნობდნენ, მაგრამ დამშვიდდნენ. ახლა იცოდნენ მოწამვლის ნამდვილი მიზეზი. რა თქმა უნდა, თავს ბედნიერად მიიჩნევდნენ, რადგან ახალ საფრთხესაც გადაურჩნენ. ისინი სასწრაფოდ გაეცალნენ ხეს, რომ თავი დაეღწიათ სასიკვდილო აირისაგან.

წინა საღამოს კაპიტანს მეტი სიფრთხილე რომ გამოეჩინა, იგი აუცილებლად შეამჩნევდა მოწითალო მერქანსა

და პატარა ზომის ხასხასა მწვანე ფოთლებს. ის მიხვდებოდა, რომ „შხამიანი ხის“ ქვეშ იდგა. მაგრამ გემის დაღუპვის შემდეგ ისე იყო დაქანცული, რომ ძალიან გაუხარდა მაღალი ხის დანახვა, რაც ჩრდილს და სიგრილეს ნიშნავდა. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ამ ხის ფოთლებში თვით სიკვდილი იმალებოდა.

ანჩარის წვენს ყველა ტომი იყენებდა შუბებისა და ისრების მოსაწამლად: მის წვენს სხვა მცენარეების ნაყენს ურევდნენ და ამზადებდნენ სასიკვდილო შხამს, რომელსაც ბრძოლის და ნადირობის დროს იყენებდნენ. ანჩარის ხის წვენით დამზადებული საწამლავი დიდხანს მოქმედებს.

საბედნიეროდ, ანჩარის ხე იშვიათია. იგი ველურად იზრდება და მხოლოდ წყნარი ოკეანის კუნძულებზეა გავრცელებული.

ქარიშხალში დაღუპული გემიდან გადარჩენილთა მცირე ჯგუფმა უკვე იცოდა, რომ ხეს, რომელიც მათ დასასვენებლად აირჩიეს, ნაჭდევი არ ჰქონდა. ღამის თევისთვის შემდეგი ბანაკის მოწყობამდე მათ ყველაფერი გულდასმით დაათვალიერეს.

ანჩარი მართლაც შხამიანი მცენარეა, მაგრამ თავის ქვეშ დაბანაკებულთა დახოცვა არ შეუძლია.

როდისმე შეგხვედრია ისეთი უჩვეულო ხეები, როგორიც ამ წიგნშია აღწერილი?

იცით, რომ არსებობს?

პურის ხე

კანფეტის ხე

მარწყვის ხე

საპნის ხე

შოკოლადის ხე

ძეხვის ხე

ბოთლის ხე

რძის ხე

დრაკონის ხე

ხე ცოცხალი არსებაა. იგი უდიდესი ბუნებრივი რესურსია დედამიწაზე. ხე ასუფთავებს ჰაერსა და წყალს, ამცირებს ხმაურს. იგი იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, გვაძლევს საკვებს, სამკურნალო და სამშენებლო მასალას, გვიცავს ქარისგან.

გამოცანა

გაზაფხულზე გულს გიხარებს,
გაგაგრილებს ზაფხულში,
შემოდგომით დაგაპურებს
და გაგათბობს ზამთარში.



სხვა ცოცხალ არსებებთან შედარებით ხე დიდხანს ძლებს. მაგალითად, ველურ პირობებში ვაშლის ხე 200 წელს ცოცხლობს, მსხლის ხე – 300 წელს, ფიჭვი – 500 წელს, მუხა – 1000 წელს, ხოლო ღვია – 1500 წელს.

რამდენიმე ფაქტი ამ უძველესი და ცოცხალი განძის, ხის, შესახებ

ხის ფოთლებიდან წყლის აორთქლება და მისი ჩრდილი შენობების გაგრილების ხარჯებს მთელ მსოფლიოში ყოველწლიურად 2.1 მილიარდი აშშ დოლარით, ანუ 3.45 მილიარდი ლარით ამცირებს!

- ერთი ხე ყოველწლიურად საშუალოდ 113 კილოგრამ ჟანგბადს გამოყოფს. ეს ნიშნავს, რომ ორ მოზრდილ ხეს შეუძლია, გამოყოს ოთხსულიანი ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში სამყოფი ჟანგბადი.
- მხოლოდ ერთი ხე იმდენ ნახშირორჟანგს მოიხმარს, რამდენსაც ერთი ავტომობილი გამოყოფს 42000 კილომეტრის გავლისას.
- სიცოცხლის განმავლობაში ხე ერთ ტონამდე ნახშირორჟანგს მოიხმარს.
- ხე ძირითადად ატმოსფეროდან საზრდოობს, ხოლო მიწიდან საკვების მხოლოდ მცირე ნაწილს – 10%-ს იღებს.
- ხეები ტყეში უკეთ იზრდებიან. ყოველწლიურად ერთი ჰექტარი (10000 კვ.მ) ტყის საფარი 6 ტონა ხის მასალას იძლევა.
- ერთი საშუალო ზომის ხიდან 200000-დან 300000-მდე ფანქარი შეიძლება გაკეთდეს.

მიმოიხედე გარშემო

- *იპოვე ხისგან დამზადებული საგნები.*
- *იპოვე საგნები, რომლებიც შეიძლება ხისგან დამზადდეს.*
- *როგორ იყენებს ადამიანი ხეს?*
- როგორ იყენებს ხე ადამიანს?
- რომელია შენი საყვარელი ხე? რატომ?

საპნის ხე (ლათ. *Sapindus*)

საუკუნეების განმავლობაში მცენარეებს იყენებდნენ ტანისამოსის ბუნებრივ სარეცხ საშუალებად. საპნის ხის Sapindus-ის სახელწოდება ლათინურიდან მოდის.„*sapo*“ ნიშნავს საპონს, ხოლო „*indicus*“ – ინდურს. იგი ხაროობს აზიისა და ამერიკის ტროპიკებში.

როდესაც საპნის კაკლები სკდება, ისინი ბევრ ქაფს გამოყოფენ. ამ ქაფით გარეცხილი სარეცხი არ ხუნდება. დღეს საპნის კაკლებს კვლავ იყენებენ ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და ნაკლებად ალერგიულ სარეცხ საშუალებად. მას ასევე ხმარობენ ტანის საცხებისა და შამპუნების დასამზადებლად. საპნის კაკლით გაწმენდილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები განსაკუთრებით ბრწყინავს.

ნაყოფი – საპნის კაკლები.

პურის ხე (ლათ. *Artocarpus altilis*)

პურის ხე ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მცენარეა დედამიწის ზურგზე. მისი სამშობლოა ახალი გვინეა. ამჟამად ფართოდაა გავრცელებული მრავალ ტროპიკულ ქვეყანასა და ტროპიკულ კუნძულებზე. იგი სწრაფად იზრდება და სიმაღლეში 30 მეტრს აღწევს. ყოველ სეზონზე 200-მდე ნაყოფს ისხამს. მისი ნაყოფი, ანუ „პური“ 3-დან 4 კილოგრამამდე იწონის. ტროპიკულ კუნძულებზე პურის ხე მოსახლეობის ძირითადი საკვებია. ნაყოფის რბილ ნაწილს წვავენ, ხარშავენ, აცხობენ ან ნაკვერჩხალზე ამზადებენ.

პურის ხის ნაყოფი

გაიხსენე!

რომელი ტროპიკული ქვეყნები და კუნძულები იცი? რატომ უწოდებენ მათ ტროპიკულს?

ამოხსენი ამოცანა

დათოს 5 პურის ხე აქვს. 2 მათგანი მოზრდილი ხეა და ყოველ სეზონზე 200 ცალ ნაყოფს ისხამს. თითოეული საშუალოდ 4 კილოგრამს იწონის. 3 ხე ახალგაზრდაა და მხოლოდ 120 ნაყოფს ისხამს. თითოეული ნაყოფის წონა საშუალოდ 3 კილოგრამია. რა მოსავალს აიღებს დათო, თუ ქარიშხალი მოსავლის ერთ მეოთხედს დააზიანებს?

ძეხვის ხე (ლათ. *Kigelia pinnata*)

ეკვატორული აფრიკისა და მადაგასკარის ტერიტორიაზე მაღალი, ლამაზი ხე ხარობს, ფართოდ გაშლილი ჩრდილიანი ტოტებით, რომლის ნაყოფიც საკვებად უვარგისია. ამ ხეს ძეხვის ხეს უწოდებენ, რადგან მისი ნაყოფი ძეხვს წააგავს. ნაყოფის სიგრძე 50 სანტიმეტრს, დიამეტრი – 10 სანტიმეტრს, ხოლო წონა 8 კილოგრამს აღწევს.

ეს ხე ასევე ცნობილია ლამაზი ხასხასა წითელი ყვავილით, რომელიც ღამით იშლება და ტიტას ჰგავს. „ძეხვს“, როდესაც გახმება, ცეცხლის დასანთებად იყენებენ. მოხარშული ნაყოფის ნაყენი კი ბუნებრივი წითელი საღებავია. უმი თესლი შხამიანია, თუმცა შემწვარი საკვებად გამოსადეგია. „ძეხვისგან“ ამზადებენ ჭურჭელს, სუვენირებს და ავგაროზებს.

აყვავებული ძეხვის ხე.

ბაობაბი – ბოთლის ხე (ლათ. *Adansonia digitata*)

ინდური ლეგენდის თანახმად, თუ ბაობაბის ხის ქვეშ დადგები და სურვილს ჩაიფიქრებ, აგისრულდება. ადგილობრივი მოსახლეობა ბაობაბის ქერქის ქვედა შრეს ჭრის და მისგან თოკებსა და ძაფებს ამზადებს. ამ მასალის გამძლეობას ანდაზაც ადასტურებს: „ისეთი უმწეოა, როგორც ბაობაბის თოკით გაკოჭილი სპილო“.

ბაობაბის დანაყილ მერქანსა და გამხმარ ფოთლებს მარილისა და წიწაკის ნაცვლად იყენებენ.

ნედლი ფოთლებით სალათები მზადდება. ბაობაბი მართლაც უნივერსალური ხეა, მის ნაყოფს მრავალი სარგებლობა მოაქვს. მას მაიმუნების პურს უწოდებენ, რადგან ამ ხეებზე მაიმუნები ჯოგებად ცხოვრობენ.

მადაგასკარზე არის ბაობაბი, რომელიც ჩაიდანს ჰგავს. იგი დაახლოებით 1200 წლისაა. მისი სიმაღლე 30 მეტრია, ხოლო სიგანე – 10 მეტრი. ეს ხე მართლა ჩაიდანი რომ ყოფილიყო, მასში 117000 ლიტრი წყლის ადუღება იქნებოდა შესაძლებელი.

ბაობაბის ნაყოფი საკმაოდ დიდია, 35 სანტიმეტრი სიგრძისა და 17 სანტიმეტრი სიგანის. იგი გოლიათ კიტრს ჰგავს, მოწითალო ფერისაა, ფქვილისებური და მომჟავო. ნაყოფსა და თესლს ადგილობრივი მოსახლეობა წამლადაც, დიზენტერიისა და თვალის სნეულებათა სამკურნალოდ, იყენებს. ამავე დროს, სიცხის დამწევი საშუალებაცაა. ბაობაბის ნაყოფის წვენი შესანიშნავი სასმელია, ქერქისაგან კი ჭურჭელს ამზადებენ.

ბაობაბის რვა სახეობა არსებობს. იგი იზრდება კუნძულ მადაგასკარზე, აფრიკაში, ინდოეთსა და ავსტრალიაში.

მოზრდილი ხე 300 ლიტრამდე წყალს იგროვებს, რომ გადარჩეს გვალვისას, რომელიც 6 თვე გრძელდება. გვალვის დროს ბაობაბს ფოთლები სცვივა და მისი გრძელი, მსხვილი და დაღვლარჭნილი ტოტები ფესვებს ემსგავსება.

ბაობაბი გვალვის დროს.

კანფეტის ხე (ლათ. *Hovénia dúlcis*)

კანფეტის ხის სამშობლოა იაპონია, აღმოსავლეთი ჩინეთი, კორეა და ჰიმალაის მთისწინეთი. იგი ძალიან გამძლე მცენარეა. ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზეც კი ხარობს. საშუალო ზომის ხის სიმაღლე 10-დან 20 მეტრამდე მერყეობს და უხვმოსავლიან წელს 30 კილოგრამამდე „კანფეტს“ ისხამს.

პატარა კრემისფერი ყვავილების მტევნები ივლისში იშლება, ხოლო კურკიანი მსხვილი ნაყოფი გვიან შემოდგომაზე მწიფობს.

კანფეტის ხის ნაყოფი.

ტკბილი და არომატული ნაყოფი საჭმელად ვარგისია და გემოთი ქიშმიშს ჩამოჰგავს. სწორედ ამიტომ კანფეტის ხეს „იაპონური ქიშმიშის ხე“ შეარქვეს.

კანფეტის ხის მასალით მუსიკალურ ინსტრუმენტებსა და ავეჯს ამზადებენ.

უპასუხეთ შეკითხვას

არის თუ არა საქართველოში რაიმე მცენარე (ხე ან ბუჩქი), რომელსაც კანფეტის მსგავსი ნაყოფი აქვს?

რძის ხე (ლათ. *Brosimum utile*)

რძის, იგივე ძროხის ხე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ხარობს. ის დაბალი მცენარეა, ხასხასა მწვანე ფოთლებით და საკვებად უვარგისი ნაყოფით. მისი წვენი რძის მსგავსია. ერთი ნაჭდევიდან ერთი ლიტრი „რძის“ შეგროვებას დაახლოებით ერთი საათი სჭირდება. ის მაშინვე უნდა დალიო, თორემ გაიკეთებს აპკს, რომლითაც სანთლებსა და საღეჭ რეზინს ამზადებენ.

ერთი ხე დღის განმავლობაში შვიდ ლიტრ „რძეს“ გამოყოფს. მას ძროხის რძის გემო აქვს დარიჩინის არომატით. ხე წვენს მთელი წლის განმავლობაში იძლევა.

ხის „რძე“ ნაჭდევიდან გროვდება თასში.

მარწყვის ხე (ლათ. *Arbutus*)

მარწყვის ხის მრავალი სახეობა არსებობს. ის იზრდება მექსიკაში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში. გვხვდება შავი ზღვის სანაპიროზეც.

იგი დაბალი (5 მეტრამდე) მარადმწვანე ხეა. მოწითალო-ნარინჯისფერი ზრო აქვს, რომელიც ქერქს ყოველწლიურად იცვლის. მისი ნაყოფი მარწყვს ჩამოჰგავს. „კენკრას“ შიგნით კურკა აქვს და ოდნავ მომწაროა.

მარწყვის ხის ნაყოფისგან ამზადებენ მურაბას, ლიქიორს და ღვინოს. მედიცინაში ამ მცენარის თითქმის ყველა ნაწილი გამოიყენება: ფოთლები, ყვავილი და ფესვები განთქმულია ანტისეპტიკური თვისებებით და ტანინის მაღალი შემცველობით. მერქანი მკვრივი და მძიმეა, არ ლპება და მისგან საიუველირო ზარდახშებსა და საათების ბუდეებს აკეთებენ.

მარცხნიდან – მარჯვნივ: ხის ტანი ცვალებადი მერქნით, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი.

მარწყვის ხე გამოსახულია ესპანეთის დედაქალაქის, მადრიდის, გერბზე. ეს შუა საუკუნეების დროინდელ ამბავთანაა დაკავშირებული. 1212 წელს გაიმართა ლას-ნავას-დე-ტოლოსას ბრძოლა კასტილიის მეფის ალფონსო VIII-ის ჯარებსა და ალმოჰადთა დინასტიის მავრებს შორის.

მეფემ მოიგო ბრძოლა და მადრიდს ახლომდებარე მარწყვის ხის ტყეები სამუდამო სარგებლობაში გადასცა.

გაიხსენე

– რა არის გამოსახული საქართველოს გერბზე?

– რას ნიშნავს გერბზე გამოსახული სიმბოლოები?

დრაკონის ხე (ლათ. *Dracaena cinnabari*)

ეს მცენარე აზიაში, იემენში, სოკოტრას არქიპელაგზე, ხარობს. იგი მართლაც უცნაურად გამოიყურება, ხოლო მისი წვენი, კარმინის მაღალი შემცველობის გამო, წითელი ფერისაა. შუა საუკუნეებში ადამიანებს სწამდათ, რომ იგი ნახევრად მცენარე და ნახევრად ცხოველი იყო, ხოლო მისი წითელი წვენი კი – სისხლი.

ერთ-ერთი ბერძნული მითის თანახმად, ჰერაკლემ ჰესპერიდების ბაღში მოიპარა 3 ოქროს ვაშლი, რომელსაც 100-თავიანი დრაკონი, ლადონი, დარაჯობდა. ჰერაკლემ მოკლა ლადონი, რომლის სისხლიც მიწას დაეპკურა და დრაკონის ხეებად იქცა.

ინდური ლეგენდის მიხედვით კი, იყო ერთი დრაკონი, რომელიც არაბეთის ზღვაში ბინადრობდა და სოკოტრას ერთ-ერთ კუნძულზე მცხოვრებ სპილოებს კლავდა. ერთ დღეს მომაკვდავი სპილო დრაკონს დაეცა და გაჭყლიტა. მათი სისხლი ერთმანეთს შეერია და, სადაც კი წვეთი დაეცა, ყველგან ხე ამოვიდა. ინდოელები ამ ხეს „ორი ძმის სისხლის ხესაც“ უწოდებენ.

შოკოლადის ხე (ლათ. *Theobroma Cacao*)

მე-16 საუკუნეში ესპანელმა კონკისტადორმა ერნან კორტესმა, რომელმაც მექსიკა დაიპყრო და აცტეკების ცივილიზაციას ბოლო მოუღო, კაკაოს მარცვლები ევროპაში ჩამოიტანა. დღეს კაკაო ტროპიკული კლიმატის მრავალ ქვეყანაში ხაროობს. სიტყვა „კაკაო“ აცტეკთა ერთ-ერთ დიალექტზე ნიშნავს „თესლს“. ნაყოფი 40 სანტიმეტრამდე სიგრძისაა და ფორმით ოვალურ ნესვს ჰგავს. დამწიფებას 4 თვე სჭირდება. თითოეულ „ნესვში“ 20-დან 50-მდე კაკალია.

ერნან კორტესი

გააკეთე შოკოლადი შინ

აიღე 50 გრამი კარაქი და 2 სუფრის კოვზი შაქარი. დაუმატე 2 სუფრის კოვზი კაკაოს ფხვნილი და ცოტა ვანილი. დაამატე 2 სუფრის კოვზი წყალი ან რძე და წამოადუღე. ადუღე 5 წუთი და ჩაასხი პატარა ჭიქებში.

სხვა ცნობილი ხეები

დიდი ფიკუსი

დიდი ფიკუსი ძლიერ დატოტვილი ხეა 420 მეტრი გარშემოწერილობით. ამ გიგანტს 3000-მდე მიწისზედა ფესვი აქვს.

დიდი მუხა

ეს ხე იმხელაა, რომ რობინ ჰუდის მთელ რაზმს დაიტევდა ფუღუროში. უზარმაზარი მუხა (შერვუდი, ინგლისი) დაახლოებით 800-1000 წლისაა. ხის ვარჯის დიამეტრი 40 მეტრს აღწევს, ხოლო გარშემოწერილობა 10 მეტრია. მისი ტოტები იმდენად მძიმეა, რომ ჩამომტვრევისაგან დასაცავად დედოფალ ვიქტორიას დროს (1837-1901) მათ ქვეშ საყრდენი ძელების შედგმაც კი დაიწყეს.

ეშმაკის ხე

ეშმაკის ხე ჩრდილოეთ აფრიკაში იზრდება და ისე ძლიერად ანათებს, რომ ღამით მისი ტოტების ქვეშ შეგიძლიათ წიგნი წაიკითხოთ. ამის მიზეზია ეშმაკის ხის მერქანში დიდი რაოდენობით ფოსფორის შემცველობა.

ბამბის ხე

ბამბის ხე ბრაზილიაში ხარობს და სიმაღლეში 70 მეტრს აღწევს. მისი თესლი დაფრინავს „პარაშუტით“, რომელზეც მარცვალია მიბმული. ეს „პარაშუტები“ ქსოვილების დასამზადებლად გამოიყენება.

ტულეს ხე

40-მეტრიანი ტულეს (ოახაკას შტატი, მექსიკა) ღეროს გარშემოწერილობა 36,2 მეტრია, დიამეტრი – 11.6 მეტრი, ხოლო ვარჯი – 58 მეტრი.

გენერალი შერმანი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი უდიდესი ხე, გენერალი შერმანი, სეკვოიას ეროვნულ პარკში იზრდება. ეს გიგანტური სეკვოია 2500 წლისაა. მისი სიმაღლე 84 მეტრია, ხოლო ვარჯი – 31 მეტრი.

პანდო

პანდო (იუტას შტატი, აშშ) ფესვთა ერთიანი სისტემიდან ამოზრდილი ალვის ხეებია. პანდო 47000 მოშრიალე ალვის ხეა, რომელიც 429 ჰექტარს ფარავს.

გამოანგარიშებულია, რომ ფესვების სისტემა 80000 წლისაა, ხოლო მთელი მცენარის წონა 6600 ტონაა.

ვუვესი

ვუვესის ზეთისხილი (კუნძული კრეტა, საბერძნეთი) დედამიწაზე ყველაზე ხანდაზმული ზეთისხილის ხეა. იგი დაახლოებით 2000 წლისაა, მაგრამ მოსავალს კვლავ იძლევა.